ხელშეკრულება N123
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ოზურგეთი **2 აპრილი 2018 წელი**

ერთის მხრივ, **ოზურგეთის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის, კონსტანტინე შარაშენიძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. მანანა გვარჯალაძე (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და CPV კოდი**

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. ოზურგეთში, ანასეულის დასახლებაში მდებარე წყალმომარაგების ლითონის 500 კბ.მ. ავზის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა.

1.2 CPV კოდი: 71242000 - პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა.

2. **ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1 ხელშეკრულების მთლიანი, ჯამური ღირებულება შეადგენს: **100 (ასი)** ლარს.

2.2 ***დაფინანსების წყარო: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.***

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.4 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში მომსახურების გაწევის შემდეგ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.5 ანგარიშწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და საგადახადო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. **მომსახურების გაწევის პირობები**

3.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 5 აპრილის ჩათვლით.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

4. **მიღება–ჩაბარების წესი**

4.1 გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების გაწევის შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტს.

5 მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.1.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

5.2 **<u>„შემსყიდველი“ უფლებამოსილია:</u>**

5.2.1 „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;

5.2.2 „მიმწოდებელის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

5.3 **<u>„მიმწოდებელი“ ვალდებულია:</u>**

5.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გაწიოს მომსახურება;

5.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

5.3.3 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

5.4 **<u>„მიმწოდებელი“ უფლებამოსილია</u>**

5.4.1 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება;

6 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 **ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში,** „მიმწოდებელს“ დაეკისრება ჯარიმა ერთჯერადად, 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

6.4 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.5 „შემსყიდველი“ უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.

6.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.7 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

7 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

7.1 ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

7.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

7.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისგან.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

7.4.1 მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

7.4.2 საქონლის მოწოდების ვადები დაირღვა 5 დღეზე მეტი ვადით.

7.5 ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ასევე მხარეთა შეთანხმებით.

8 ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (სტიქიური უბედურება, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი, საომარი მოქმედებები და საზოგადოებრივი არეულობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, საქონლის მიწოდება ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, ცვლილებები კანონმდებლობაში და სხვა) ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობისა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გატვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

9 დავების გადაწვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ საქართველოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხი, ასევე მოწოდების ვადების კონტროლი.

10.2 შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

10.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13 დასკვნითი დებულებანი

13.1 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.2 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით, ხელშეკრულების დანართის გაფორმების შედეგად.

13.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისამდე.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს".

14 მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ი.მ. მანანა გვარჯალაძე
იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1	მისამართი: ოზურგეთი, სოფ. ბოხვაური;
	ტელ.: 599 43 28 87
საინდენტიფიკაციო კოდი: 237114635	საიდენტიფიკაციო კოდი: 33001007513
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი".
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ა GE98BG 0000 0008 7171 0401
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:	*ი.მ. მანანა გვარჯალაძე:*
კ. შარაშენიძე	*მ. გვარჯალაძე*